დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

25 დეკემბერი 2022 -:- 16 მარტი 2023

28 მარტი 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - „კავკასიის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე, სსიპ - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ – „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი“, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	არქიტექტურა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	ARCHITECTURE
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	არქიტექტურა და ქალაქგეგმარება 0731
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №87, 10.08.2016
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

პროგრამა „არქიტექტურა“ აკრედიტებულია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 87, 10.08.2016) და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ შეფასებისათვის წარმოდგენილ იქნა გადამუშავებული ფორმით. პროგრამა კომპონენტთა ერთობლიობა 240 კრედიტს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამაში, პროგრამის ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილია კომპონენტის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ყოველივე ეს კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სწავლება ეფუძნება სააუდიტორიო, პრაქტიკულ და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. სააუდიტორიო სამუშაოს ფორმებს: ლექცია, ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობები, სწავლის პროცესში შემთხვევის ანალიზის, დისკუსიის, დებატების, წერითი მუშაობის, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრირების, ანალიზის და სინთეზის მეთოდებს.

პროგრამის თანმხლები წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად მოიცავს საჭირო ინფორამციას და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა ხელმძღვანელობის, პერსონალის, სტუდენტთა და კურსდათმთავრებულთა ჩართულობა და დაინტერესებულობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა შეფასდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშის, საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების, ასევე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. 2022 წლის 20 დეკემბრის MES 5 22 0001631438 ბრძანების საფუძველზე შედგა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მოამზადა წინამდებარე დასკვნა. დასკვნის მზადებისას, გამოთხოვილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამ სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ:

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.

სამივე სტანდარტი, შესაბამისი სტანდარტის კომპონენტების გათვალისწინებით, შეფასდა, როგორც „**შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**“.

- **რეკომენდაციები**

-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სრულყოფისთვის, სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების შესახებაც, ხოლო პირდაპირი შეფასების მეთოდებად შეირჩეს კონკრეტული შეფასების კომპონენტი, ნაცვლად სასწავლო კურსის შეფასებისა.

  - აბიტურიენტთა ბროშურასა და პროგრამაში მოცემული მიღების წინაპირობები (უცხო ენა) შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.
  - სასურველია, გააქტიურდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და ღონისძიებებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

  -

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

-

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“ აკრედიტებულია 2016 წლის 10 აგვისტოდან №87 ბრძანებით. აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი 2026 წლის 31 დეკემბერი.

საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვა და ცვლილება განაპირობა ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებამ.

შედეგად პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. მათ შორის დაკორექტირდა პროგრამის მიზნები. მიზნები ჩამოყალიბდა მკაფიოდ და გაერთიანდა 3 ძირითად მიზანში, რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა. მიზნები ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, რაც კურსდამთავრებულს მისცემს შესაძლებლობას მიღებული ცოდნა გამიყენოს პრაქტიკაში და დააპროექტოს თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ისეთი შენობა-ნაგებობები რომლებიც შესაბამისობაში იქნება აგრეთვე არქიტექტურის მიმართ თანამედროვე მოთხოვნებთან ერთად, ასევე არსებულ ინფრასტრუქტურასთან, იერსახესთან, გადაწყვეტებთან და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ასევე ითვალისწინებს არქიტექტურის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს, შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს, შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი სწავლების საფეხურს და წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელს და შეესაბამება კვალიფიკაციის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს არქიტექტურის ისტორიის თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საკითხებს;
2. იზიარებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქმთშენებლობით არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
3. აღწერს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების შემუშავებისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე, დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ ასპექტს;

4. პროექტირებისას ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს;
5. გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკას, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას;
6. წარმოსახვითი და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფუნქციური, ტექნიკური, ესთეტიკური და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის არქიტექტურულ პროექტს;
7. საპროექტო დავალებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს;
8. პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
9. არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ მეთოდებს;
10. არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში ამყარებს კომუნიკაციას;
11. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;
12. ითვალისწინებს კლიმატური ცვლილებების ზემოქმედებას არქიტექტურაზე, ეთიკური საკითხების, მდგრადი არქიტექტურის და შრომითი უსაფრთხოების მნიშვნელობას არქიტექტურაში.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას და არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია აქტიური ზმნების გამოყენებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია დასკვნის 1.3 სტანდარტის კომპონენტის აღწერილობით ნაწილში).

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მოდიფიცრდა არქიტექტურისა და მშენებლობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ დარგობრივი მახასიათებლის მიღების საფუძველზე. წარმოდგენილი სახით, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან, არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან, სწავლის სფეროს სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ამავე დროს სწავლის შედეგები თერიული ცოდნის მიღებიდან პრაქტიკაში ამ ცოდნის გამოყენების უნარის ჩამოყალიბების მიხედვით იმგვარად არის გადანაწილებული რომ სწავლა თანმიმდევრული იყოს და აკადემიური წლის მატებასთან ერთად იზრდება გადაცემული თერიული ცოდის მოცულობა და პრაქტიკაში მისი გამოყენების კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამის „არქიტექტურა“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის „არქიტექტურა“ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელზეც აღნიშნულია, თუ რომელი სასწავლო კურსით, რა დონეზე მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები. ამასთან, თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნული და შემფასებლები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის, არსებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას. შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა და სხვ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის ასევე განსაზღვრულია პერიოდულობა, რომელიც შეადგენს 4 წელს.

ექსპერტთა მხრიდან დამატებით იქნა მოთხოვილი არქიტექტურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი ანგარიში ადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გამოყენებას პროგრამის განვითარებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას თითოეული სამიზნე ნიშნული მიღწეულია, ანალიზი არ მოიცავს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების პირდაპირი მეთოდებით. შესაბამისად, პროცესის სრულყოფის მიზნით, სასურველია შემდგომში ანგარიში მოიცავდეს შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შედეგებსაც. ამასთან, შეფასების პირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია სასწავლო კურსის შეფასების (100 ქულა) შეფასაბამისად. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდები და შესაბამისი სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს კონკრეტული შეფასების კომპონენტით

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- საბაკალავრო პროგრამის „არქიტექტურა“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სრულყოფისთვის, სასურველია, სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების შესახებაც, ხოლო პირდაპირი შეფასების მეთოდებად შეირჩეს კონკრეტული შეფასების კომპონენტი, ნაცვლად სასწავლო კურსის შეფასებისა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS – კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად არის განაწილებული:

- **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები – 190 ECTS** (პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისაღებად, გათვალისწინებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ათვისება 190 კრედიტის ოდენობით); ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს სავალდებულო თეორიულ და პრაქტიკულ დარგობრივ სანგებს;
- **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები – 10 ECTS** გათვალისწინებულია მეექვსე და მეშვიდე სემესტრებში და სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკულ და თეორიულ საგნებს;

- **საბაკალავრო ნაშრომი – 20 ECTS** – საბაკალავრო ნაშრომში მოიაზრება არქიტექტურული პროექტის გრაფიკული და კვლევითი ნაწილის შესრულება კონკრეტულ საპროექტო დავალებაზე; არქიტექტურული მოცულობა ურბანულ გარემოში, არქტიტექტურული პროექტის გავლა გათვალისწინებულია ბოლო სემესტრში;
- **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები – 40 ECTS** – მათ შორის, საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 25 კრედიტი, საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი, თავისუფალი კრედიტები – 5 კრედიტი.

პროგრამის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ იგი შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. მსოფლიოში მიმდინარე ცვლილბები განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვას და არსებული სიტუაციის თანხვედრაში მოყვანას. კერძოდ, ამ შემთხვევაში, რადგან პროფესია არქიტექტორი არამხოლოდ შენობა-ნაგებობების ვიზუალურ-ესთეტიკურ მხარესა და გეგმარების მოხერხებულობას განსაზღვრავს, არამედ პროექტს უქვემდებარებს შრომის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს; ეკოლოგიურობასა და ენერგოეფექტურობას, ამავე დროს გარდა ბუნებრივი ნიჭისა საჭიროებს მაღალტექნოლოგიური პროგრამების ცოდნასა და პრაქტიკულ მუშაობას, ამიტომ სასწავლო პროგრამა – „არქიტექტურა“-მ განიცადა გარკვეული ცვლილებები, რაც გამოიხატა ზემოთაღნიშნული მოთხოვნების ცალკეული დისციპლინების სახით პროგრამაში დამატებით, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდით და ზოგადად სტრუქტურის ლოგიკური ჯაჭვის სახით წარმოდგენით.

პროგრამას არ აქვს პრაქტიკა, როგორც ცალკე აღებული დისციპლინა, მაგრამ სასწავლო წლის ბოლო – მე-8 სემესტრში წარმოდგენილია ორი საგანი „არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტი“ და „არქიტექტურული პროექტი“; აღნიშნული სრულად მოიცავს პრაქტიკას და გულისხმობს სტუდენტის მიერ არქიტექტურული პროექტის შედგენას დამოუკიდებლად ხელმძღვანელის რეკომენდაციებით. ასევე მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში სასწავლო კურსები განაწილებულია ისე, რომ პრაქტიკული ელემენტი თან ახლავს სწავლის პროცესს.

აქედან გამომდინარე, პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც იძევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სტრუქტურით და სწავლების შედეგებით მიზნები მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის „არქიტექტურა“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მოიცავს 35 სავალდებული სასწავლო კურს; 11 არჩევით სასწავლო კურსს; 5 საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსს; 10 საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსს და თავისუფალ სასწავლო კომპონენტს, რომელიც შეუძლია სტუდენტმა შეარჩიოს უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ან/და ამავე პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან, მათი წინაპირობების გათვალისწინებით.

სასწავლო კურსების შინაარსი, მათი მოცულობა, დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების განაწილება და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული შედეგების მიღწევადობას და აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკის გათვალისწინებითასევე მოიცავს თანამედროვე კვლევებს შესაბამის სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის „არქიტექტურა“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება და პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის წესი კი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

პროგრამის აღწერაში არ არის მოცემული ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის მიერ ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ, კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მიხედვით (ბროშურა აბიტურიენტებისთვის) კი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ქართული ენა, მათემატიკა/ფიზიკა და ერთ-ერთი უცხო ენა. საგანმანათლებლო პროგრამაში მიღების წინაპირობად კი ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის ჩაბარებაა განსაზღვრული. სასურველია, ინფორმაცია პროგრამასა და აბიტურიენტთა ბროშურაში შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან. წარმოების შინაარსიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს ფარგლებში დააზუსტოს მიღების წინაპირობის საკითხი, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბროშურა მიმდინარე წლის უნდა იყოს, რთულია განისაზღვროს, რამდენად განახლებულია მასში ინფორმაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი რჩევის სახით ჩამოყალიბდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ბროშურა აბიტურიენტებისთვის.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აბიტურიენტთა ბროშურასა და პროგრამაში მოცემული მიღების წინაპირობები (უცხო ენა) შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის, როგორც პრაქტიკული, ისე შემოქმედებითი უნარების გამომუშავებას. პროგრამის სხვადასხვა, შინაარსობრივად თანმიმდევრული, სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია შესაბამისი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც მთლიანობაში ხელს უწყობს სტუდენტების როგორც კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, ისე პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომები მიმართულია სტუდენტში არქიტექტურის მიმართულებით პროფესიური უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გამომუშავებაზე.

სტუდენტის კვლევითი, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მათი პროგრესის დონის დემონსტრირებას უზრუნველყოფს „საბაკალავრო ნაშრომი“, რომელიც თავისი შინაარსით პროგრამის დასკვნითი კომპონენტია. საბოლოო პროდუქტი შესაძლებლობას იძლევა შემოწმდეს პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკაში მათი რეალიზების შესაძლებლობები.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ძირითადი სავალდებულო კურსების დიდი რაოდენობა მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რაც თავისთავად განაპირობებს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევებით გამყარებას და პრაქტიკული სამუშაოსათვის საჭირო უნარების შეძენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარში და მასთან დაკავშირებული დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებულია სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, პრაქტიკა და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამის ფორმატში თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს. მათი შერჩვა-გამოყენება მიმართულია, როგორც სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემაზე, ისე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, სხვადასხვა უნარების განვითარებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები და ფორმები შეესაბამება პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები და შესაბამისი აქტივობები უზრუნველყოფენ კურსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას, მთლიანობაში კი პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარში და მასთან დაკავშირებული დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

-

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმაანთლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორთან შესაბამისობის შეფასების პროცესში, სტანდარტ 2.4 – ის შეფასებისას, შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდა სტუდენტთა შეფასების სისტემაზე. მსჯელობა არ მოიცავს შეფასების გასაჩივრების მექანიზმებისა და მათი გამოყენების, ასევე მათ შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის შესახებ ინფორმაციას.

სასწავლო კურსების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასება გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი, სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, შესაბამისად, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილია შეფასების სისტემა, შეფასების ფორმები, მეთოდები და კომპონენტები. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაჭვირვალეა და ცნობილი სტუდენტებისთვის სილაბუსის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება, სწავლის ხარისხის კონტროლი, სტუდენტის მიღწევის დონის დადგენა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

სტუდენტთა შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების – 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას.

შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის „არქიტექტურა“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, აფილირებული აკადემიური, მოწვეული პერსონალი) – 34.

სულ აკადემიური პერსონალი – 11, აქედან: პროფესორი – 8; ასოცირებული პროფესორი – 1; ასისტენტ პროფესორი – 2; ასისტენტი -0.

აქედან, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა – 7, მათ შორის: აფილირებული პროფესორი – 5; აფილირებული ასოცირებული პროფესორი – 0; აფილირებული ასისტენტ პროფესორი – 2; აფილირებული ასისტენტი – 0.

სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი 23.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, როგორიცაა პერსონალის CV-ები, პირადი საქმეები. პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს – 11 აკადემიური და 23 მოწვეული პერსონალი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**11**	**4**	**3**	**7**
- პროფესორი	8	2	2	5
– ასოცირებული პროფესორი	1			
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	1	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	23	18	7	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარში და მასთან დაკავშირებული დანართები;
- პერსოალის განაწილების ცხრილი;
- პერსონალის CV-ები; დიპლომები; სერტიფიკატები და სხვ.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის	☐	☐	☐	☐

ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასების საფუძველია ინდივიდუალური წლიური სამუშაო გეგმა. აღნიშნულის შეფასება ხდება ეტაპობრივად ელექტრონული პროგრამის დახმარებით, ხოლო საბოლოო შეფასება ხდება საანგარიშო წლის დასრულებისას. შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება თანამშრომლობის განახლებასთან და ახალი ხელშეკრულების პირობების შედგენასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ (მათ შორის, გამოთხოვილ) დანართებში არ არის ინფორმაცია პერსონალის შეფასების შედეგების აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყენების შესახებ, ან შეფასების შედეგების გათვალისწინების შესახებ პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმების გამოყენებისას.

ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ. კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება უშუალო ხელმძღვანელის და სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის შესაბამისად.

კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

აკადემიური პერსონალის წახალისებისა და განვითარებისთვის საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა შიდა სასკოლო კონფერენციები და ფორუმები ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობთ, მაგალითად:

1. ახალი ურბანული ტოპოლოგიების ფორუმი, 2019 წლის 14-17 ივნისი;
2. ვორკშოპი - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის- არქიტექტურა, საინჟინრო ტექნოლოგიები, მწვანე მშენებლობა“, 2021 წლის 9 ივნისი;
3. საერთაშორისო კონფერენცია კავკასიის ტექნოლოგიების სკოლაში, 2021 წლის 14 დეკემბერი;
4. ვორქშოპი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2022 წლის 13 ივნისი.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ასევე, შესაძლებლობა ჰქონდა მონაქილეობა მიეღო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული წლიურ სამეცნიერო კონფერენციებსა და ვორკშოპში, კვლევითი უნარების განვითარებისთვის ორგანიზებულ საუნივერსიტეტო ღონისძიებებში.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, არქიტექტურის ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, შესაძლებლობა აქვს მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება ქვეყნის საზღვრებს გარეთ **erasmus+** პროექტის ფარგლებში.

ამ ეტაპზე მცირეა ინგორმაცია პერსონალის მიერ საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში ჩართულობის შესახებ, თუმცა, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ღონისძიებები იგეგმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია პერსონალის განვითარებისა და შეფასების შესახებ.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გააქტიურდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და ღონისძიებებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურის პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2016 წელს, პროგრამის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რეკომენდციები არ განსაზღვრულა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის პროცესს არ გამოუწვევია მატერიალური რესურსის ცვლილება. თუმცა, 2016 წლიდან მუდმივად ვითარდება და მდიდრდება პროგრამის მატერიალური რესურსი. ვინაიდან შეფასების პროცესი არ ითვალისწინებდა დაწესებულებაში ვიზიტს, დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობასა და საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ ინფორმაციას.

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, მათ შორის:

- **„კომპიუტერული აუდიტორია“** – სტუდენტები შეისწავლიან კომპიუტერულ პროგრამებს, რისთვისაც უნივერსიტეტში გათვალისწინებულია აუდიტორია კომპიუტერებით (შესაბამისი მონაცემებითა და სიმძლავრით).
- **ხატვისა და სამაკეტო სტუდია** – სახვითი ხელოვნების საგნებისთვის გამოყოფილია სივრცე, რომელიც აღჭურვილია ხატვისთვის საჭირო ინვენტარით (მოლბერტები, დაფები და სხვ.) ასევე, გამოყოფილია კუთხე სამაკეტო საქმიანობისთვის და შეძენილია ისეთი დანადგარები, როგორიცაა: სამაკეტო საჭრელი დაზგა, 3D პრინტერი, საჭრელი მატი და სხვა.
- **„არქიტექტურული სტუდია“** – ამ სივრცეში სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ გამოცდილება და გაიარონ სტაჟირება უნივერსიტეტში მომუშავე ლექტორებთან – არქიტექტორებთან ერთად. ისინი მუშაობენ, როგორც რეალურ პროექტებზე, ასევე კონკურსებსა და საკურსო ნაშრომებზე.

სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი, აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელეტრონული ფონდი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგის მიღწევას. სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემები (EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus, Sci-val Funding, HeinOnline, Taylor and Francis, Math Scientific Publishing Journals), ციფრული რესურსი, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მატერიალური რესურსის აღწერილობა

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა“ ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება (N04/01-08) კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის არქიტექტურის საბაკალვრო პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

პროგრამის ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის მხარდაჭერა, ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ლექტორთა შრომის ანაზღაურების გარდა, ბიუჯეტით

გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, როგორიცაა მასალები, ლიტერატურის, საკონფერენციო, პროგრამის აკრედიტაციის, ადმინისტრაციის და გაუთვალისწინებელი ხარჯები.

პროგრამის აღწერილობის მიხედვით, სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას უზრუნველყოფს პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო „ფონდი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს

რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- -

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: არქიტექტურა, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ალექსანდრე წაქაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თინათინ გაბრიჩიძე